საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 21 0000480116

24/05/2021

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 01 ივლისს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №421/01-01-31-09 (ცენტრში რეგისტრაციის №549154) სააკრედიტაციო განაცხადი „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის №612085 ბრძანების საფუძველზე, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 თებერვლის №126717 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 01 მარტს საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2021 წლის 18 აპრილს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 27 აპრილს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ

ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2. კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ასევე 2.3 კომპონენტი ნაცვლად „ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო 2.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. თუმცა აღნიშნული კომპონენტების ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი და მე-2 სტანდარების შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 16 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №1).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 24 მაისს №479471 სხდომის ოქმის №-01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №1).
4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დაამატა შემდეგი რეკომენდაცია:

4.1. სოციალური კვლევის მეთოდების კურსში გაძლიერდეს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის რელევანტური კვლევის მეთოდების კომპონენტები (მაგ. შემთხვევის შესწავლა, მეორადი მონაცემების ანალიზი);

რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

ა) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის, ტრენინგებისა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას; უნივერსიტეტში მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას; მეტ უცხოურ უსდ-სთან კავშირსა და თანამშრომლობას; სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;

ბ) მიზანშეწონილია პროგრამაში დაემატოს სხვა უცხო ენების ბლოკი სავალდებულო ან/და არჩევით კურსების სახით;
გ) უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედი კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარების პროცესები, რათა 23 სტუდენტებს შეექმნათ საკუთრი ცოდნის გაფართოებისა და პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა;
დ) სასურველია ასევე უფრო მეტი მოწვეული სტუმრის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში და სხვადასხვა პრაქტიკული აქტივობების დამატება, რათა სტუდენტებს მიეცეთ საშუალება გაეცნონ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს პრაქტიკული მხარეს და შეიძინონ დამატებითი პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოცემული მიმართულებით;
ე) ამასთანავე სასურველი იქნება სამომავლოდ პროგრამის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობა, რაც თავის მხრივ სამომავლოდ უზრუნველყოფს პროგრამის საერთაშორისო ურთიერთობების კომპონენტის გაძლიერებას.
5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 24 მაისს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მე-2 შესახვევი №2 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ